თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4647588

ნომერი: AR1702640

თარიღი : 21.08.2019

გაცემის თარიღი : 30.08.2019

გაცნობის თარიღი : 23.03.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხიზაბავრის ქუჩა; ქ. თბილისი, ხიზაბავრის ქუჩა N13-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , გლდანის "ა" მ/რ , ხიზანიშვილის ქუჩის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დიტო ბარდაველიძე პ/ნ 21001008009
- ზარზმის ქუჩა #17, ბ3

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი # AR1702640 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ხიზაბავრის ქუჩა (# 01.11.12.018.227, 01.11.12.018.232 და 01.11.12.018.146 ს/კ-ებით) რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ნებისმიერი განცხადების შემოტანის შემთხვევაში წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2019 წლის 06 ივლისს #AR1698770 ელექტრონული განცხადებით, სამსახურს მომართა მოქალაქე ბადურ ჯინჭარაძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, ხიზაბავრის ქუჩა (# 01.11.12.018.227, 01.11.12.018.232 და 01.11.12.018.146 ს/კ-ებით) რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნულის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა არ მომხადარა.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით.

ამასთან განგიმარტავთ, იმისათვის რომ დაცული იქნას როგორც ნებართვის მაძიებლის, ასევე იმ პირების ინტერესები, რომელთა კანონით დაცულ ინტერესებზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სამშენებლო სამუშაოები, საჭიროა თქვენს მიერ წარმოდგენილი „შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტი“-ზე ნათლად და გარკვევით დაფიქსირდეს რატომ ეწინააღმდეგებით კონკრეტულ სამშენებლო სამუშაოებს. (რა ნორმებს ეწინააღმდეგება შესათანხმებელი სამშენებლო სამუშაოები) და რა ზიანი შეიძლება მოგადგეთ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებით. საჭიროების შემთხვევაში ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას თქვენს მიერ დაფიქსირებული გარემოებების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.

სამსახური მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების თაობაზე წარმოდგენილი კონკრეტული განცხადების განხილვისას, განიხილავს ამ ობიექტთან დაკავშირებით თქვენ მიერ წარმოდგენილ შეტყობინებასაც, ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების გარეშე. რის შედეგადაც სამსახური მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას ყველა დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ- გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge